იბეროილი IBEROIL

ნავთობკომპანია

08/01/2022

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს

ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

შ.პ.ს. „იბერიოლი"-ს მიერ დაგეგმილია ქ. თბილისში, იუმაშევის ქუჩის მიმდებარედ, შ.პ.ს. „იბერიოლი''-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ № 01.19.26.05.015) 7000 მ³ ტევადობის ნავთობპროდუქტების საწყობის მშენებლობა და ექსპლუატაცია.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს I დანართის 29-ე პუნქტის თანახმად „1000 მ³ ან მეტი ჯამური მოცულობის წიაღისეული საწვავის ან/და ქიმიური პროდუქტების საცავის მოწყობა და ექსპლოატაცია" მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს I დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას. ამ კოდექსის მე-5 შესაბამისად კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

აღნიშნულის საფუძველზე, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-8 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად განხორციელებული სკოპინგის პროცედურის საფუძველზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 17 დეკემბრის №2-1663 ბრძანებით გამოცემული იქნა 2021 წლის 14 დეკემბრის №63 სკოპინგის დასკვნა.

„ქ. თბილისში, შპს „იბეროილის" 7 000 მ³ მოცულობის (მიწისზედა) ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 17 დეკემბრის №2-1663 ბრძანების საფუძველზე წარმოგიდგენთ საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს და 2021 წლის 14 დეკემბრის №63 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად მომზადებულ გარემოზე ზემოქმედების ანგარიში და კანონმდებლობით გათვალისწინებული საჭირო დოკუმენტაციას.

გთხოვთ არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

დანართი: 1. გარემოზე ზემოქმედების ანგარიში (დოკუმენტის ნაბეჭდი და ელ. ვერსია)- 1 ეგზ;
2. არატექნიკური რეზიუმე (დოკუმენტების ნაბეჭდი და ელ. ვერსია)- 1 ეგზ.;
3. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზ.დ.გ.) ნორმების პროექტი (დოკუმენტის ნაბეჭდი და ელ. ვერსია)- 2 ეგზ;
4. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად);
5. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
6. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.

პატივისცემით,
მიხეილ ნიკოლეიშვილი
შ.პ.ს. „იბეროილი"-ს დირექტორი

№ 138
11.01.2022
2/4/CB

მის.: ქ. თბილისი, იუმაშევის 13 ე   info@iberoil.ge   +995 577 54 07 07